№ 14 იანვარი 21, სამშაბათი 1892 იანვარი 21, სამშაბათი № 14

ГАЗЕТИ ДЕРИ

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისში რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძველის პირველპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; ფერა-კოთხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 22 იანვარს,
გ. გედევანოვის სპბენეფისოდ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი
იქნება
პირველად ასალი პიესა:

I

ანრიეტ შონასტერი

კომედია-ხუმრობა 3 მოქმედ., გადმოკ. თ. სახოკიის და ვ. გუნიას მიერ.

II

მოტია

ვოდ. 1 მოქმედ. ალ. ჯორჯაძისა.

III

დიგერტისმენტი

ვ. აბაშიძე და გ. გედევანოვი იმღერენენ სომხურს კუპლეტებს.
ალ. ალექსი-მესხიშვილი იმღერებს რუსულ რომანსს „შეშლილი“.
გ. გედევანოვი იმღერებს კომიკურს კუპლეტებს ა. ახნაზაროვისას.
ვ. აბაშიძე წაიკითხავს ბ-ნ ა. ახნაზაროვის სომხურს სცენას—„ოჰანეზას ნადირობა“.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ახალი ორიგინალური პიესა ,,და-ძმა'' ვ. გუნიასი; ,,ლანდი'', თარგ. რუსულიდგან.

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

აგადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

 კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—8)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1892 წლის 4 თებერვალს მოხდება ვაჭრობა გასასყიდად კნეინა ეკატერინა გიორგის ასულის ვახვახოვის მამულისა, რომელიც 1891 წ. 14 და 28 დეკემბერს ვაჭრობის დროს ბანკს დარჩა. ეს მამული ტფილისის გუბერნიის, თელავის მაზრის, სოფელს კონდოლშია და შეიცავს: სახნავს მიწებს და ტყეს, ზომით 308 დეს. 555 ოთხ-კუთხს საჟენს. ამ მამულს ვალი აქვს 2710 მ. 85 კ., შემოსატან. გარ. 266 მ. 35 კ., სულ 2,977 მ. 19 კ. და ვაჭრობაც ამ ფულიდგან დაიწყება. მყიდველმა ვაჭრობის დროს უნდა წარმოადგინოს მხოლოდ შემოსატანი გარდასახადი; თავნი ვალი-კი თავისზე შეიძლება გადაიტანოს.

ვაჭრობა დაიწყება დილის 11 საათზე.

ფელეტონი

ქართველთა შორის.

ნაკიანი წელიწადი და სამი უბედურება.—ეკლიანი გზა.—მადათოვის კუნძული.—რითი ეშველება.—უადგილო ყირათი.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებოო—მეუნებეობდა ჭალარით შემოსილი გურგენი — და თუმცა ამ ძველად ნათქვამს სიბრძნეს ყველა ჩვენგანი ვიმეორებთ, მაგრამ მაინც არც ერთს არ მოგვდის ჭკუაში მცირეოდენი მოსაზრება, რომ თუ ეს თქმულება მართალია, მაშ საწყალს მეურმეს რაღას ვემართებითო. აქაო-და ურემი გადაბრუნდა, დავზიანდით,—სულ შენი ბრალია, მოდი და პასუხი აგეო. გულ-ხელ დაკრებილი მეურმეც მოდის თვალ-ცრემლიანი და გვეუბნება—რა ვქნა, თქვენი ჭირიმეთ, აი, თუ გინდათ მოშალითო. ღმერთმა ხომ იცის, რომ მე თქვენი სიკეთე მინდოდა და სხვა არაფერი, მაგრამ რა წყალში ჩავვარდე, აქამდის სულ ამ გზაზე დამქონდა ურემი, მშვიდობიანად გამიტარგამომიტარება, მანდ ხინჯი არა მინახავს-რა დღემდე და გულთმისანი ხომ არ ვიყავი მცოდნოდა, რომ აქ მიწა ფუღურო აღმოჩნდებოდა, ფუყი, და ერთხელაც იქნებოდა ზემო პირი ვეღარ აიტანა სიმძიმეს, ჩაწვებოდა და ამ ურემსაც გვერდზე მოაქცევდაო.

დიდი უბედურება დატრიალდა მტკვარზე ტფილისში, ამ უბედურებას ხმა მისცა იმავე დღეს ცხინვალმაც უბედურებითვე და ეს ორი ზარ-დამცემი ამბავი დასრულდა ლიხის ქედის უბედურებით რკინის გზის ლიანდაგზე. არიქათ, დამნაშავენი გვაჩვენეთ, რომ თვალები გამოვაკაწროთო,—დაიგრიალა აღშფოთებულმა ხალხმა კიდით-კიდემდე—მტკვარზე რომ მაგარი ხიდი გაგვდოთ, ეგ უბედურება აგვცდებოდა ნათლი-დებასო. ცხინვალის მეტიჩარას რომ არ ეთქვა ხალხისთვის—თოფები გაისროლეთ, როდესაც მღვდელმა ჯვარი ჩაასვენოს წყალშიო, იმ საცოდავს გლეხს ტყვია არ გაუვლიდა გულში, დღესაც ცოცხალი იქნებოდა, და ჩვეულს პატრონობას არ მოაკლებდა თავისს სახლობასაო; მეორე გლეხიც არ დაიჭრებოდა და საცოდავი სანახავი არ შეიქმნებოდაო. მოლითის სადგურისაკენ რომ ისეთი დაქანებული არა ყოფილიყო ლიანდაგი, იმოდენა ხალხი არ გადიბუგებოდაო... თუკი ასეთი ჭკვიანები იყავითო—ცხარობდა მოხუცი გურგენი,—მაშინ სად მიიმალენით, როდესაც ან მტკვარზე აკეთებდნენ ჩხირის ხიდსა, ან როდესაც ცხინვალის მეტიჩარა ბრძანებას აძლევდა ხალხს—„პლიო“, და ან როცა მოლითის ლიანდაგი დაყრაევებული გაჰყავდათო! უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ არც ხიდის გამკეთებელთ უნდოდათ ხალხის ამოწყვეტაო, არც ცხინვალის მეტიჩარას ჰქონდა რაიმე ცუდი განზრახული წინააღმდეგ მოკლულისა და დაჭრილის გლეხისა, არც მოლითის ლიანდაგის გამყვანთ ეწადათ მოეხდინათ ისეთი უბედურება, რომ ერთს საშინელს დღეს რამდენიმე კაცი პატრუქვივთ დამწვარიყვნენ ანთებულის ნავთის გუბეში და გაწყვეტილიყვნენ დამსხვრეულ ვაგონების სიმძიმის ქვეშაო. უეჭველი ის არის, რომ მათ ყველას უნდოდათ ესიამოვნებინათ ხალხისთვის, მაგრამ მათი სურვილი გაჯაბილა ნაკიანის წლის უბირულობამ და გაუტანლობამაო. ყველაფერში დამნაშავეა მხოლოდ ნაკიანი წელიწადი, რომელსაც ვერც სამართალში მისცემ, ვერც გიემკლავები და ვერც არაფერიო,—სიმწარით გაათავა გურგენმა.

**

ეს „ნაკიანი წელი“ რომ ვაპატიოთ სიბერეს გურგენისას, უნდა ვსთქვაო, რომ დანარჩენი მისი მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული. მართლაც-და ხშირად გზა მარტო მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როდესაც ურემი გადაბრუნდება. თუმცა ისიც-კი არ არის იშვიათი, რომ ურემიც გადაბრუნებულა, მასთან არა ერთხელა და ორჯელ, მაგრამ გზა-კი მაინც არ გამოჩენილა. კიდევ კარგი, რომ ურმის ერთმა გადაბრუნებამ გზა გვაჩვენოს მართებული. კაცობრიობის წარმატება მომეტებულ ნაწილად უფრო ეკლიანს გზაზე მიდის ნელ-ნელა და ფრთხილად, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაუღიმა ბედმა და ჭრელს დაფენილს ხალიჩაზე გაატარა. ამ სვლაში ერთი ათჯერ მაინც უნდა მოიტეხოს სიკეთილის შვილმა კისერი, რომ ერთხელ ჭკუა ისწავლოს. ზოგი ხომ სულაც ისე კვდება, რომ ჭკუის აჩრდილსაც ვერ მოჰკრავს თვალს.

ამ მიზეზით ჩვენ ნუ გავებმით ძიებაში, ვინ არის დამნაშავე ამოდენა ხალხის გაჟლეტაში და ვინ მოიწადინა მიეტანა თავის კერპებისთვის მსხვერპლად ალამიანთა სიცოცხლე. დეე, მაგ საგანს იმან მოჰკიდოს ხელი, ვისაც კისრად ადევს მძიმე ულოდ მაგისთანა უსიამოვნო და ძნელი მოვალეობა. ჩვენ სხვა მხრიდამ

*** 18 იანვარს სადგურს „ყვირილასა“ და „ძირულას“ შუა ზვავი ჩამოწვა რკინის გზის ლიანდაგზე. ამის გამო ბათუმიდგან მომავალი სახალხო მატარებელი № 3 ისევ უკან დაბრუნდა და „ყვირილაში“ იცდიდა, ვიდრე გზას გასწმენდავდნენ. ამ მიზეზით მატარებელი ტფილისში 7 საათითა და 40 წუთით გვიან ჩამოვიდა.

*** იმავე დღეს და იმავე ადგილას მეორედაც ჩამოწვა ზვავი და ამის გამო მატარებელმა № 1 ორის საათით დაიგვიანა ტფილისში მოსვლა.

*** პირველს იანვარს აქეთ სადგურს „აღსტაფასა“, „ფოილოსა“ და „ყარაიაზში“ სულ 135 ვაგონი დაიტვირთა ჭინახულით რუსეთის დამშეულს გუბერნიებში გასაგზავნად.

*** 16 ამ თვისას ეკატერინეს ქუჩაზე, ბერეტიანის სახლში, ან. და ალ. ფერაძეების სადგომი გაჭურდეს მათ შინ არ ყოფნის დროს და წაიღეს, რაც-კი რამ მოეძებნოდათ—ხმალი, 70 მ. ღირებული, ორი შეერცხლილი ხანჯალი, 170 მან. ღირებული და სხვა...

*** 19 ამ თვისას ქურმაცაცები ეწვივნენ აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა ქართველოვის სახლებს და მემაშინე ანტონოვის სადგომიდამ წაიღეს სამი სპილენძის ქვაბი და სამი წყვილიც კალოში.

*** ჟურნალ „აღმიური“-სა და „თარაზ“-ის ხელის მომწერლებს დაურიგდათ მშვენიერი პრემია—სამი დიდი სურათი: არტისტ პეტროს ადამიანისა, პატრიარქის ხრიმიანისა და სომეხთა მეფის ტრდატის მიერ ქრისტიანობის მიღებისა გრიგოლ განმანათლებელის მიერ და ოთხი პატარა წიგნი: „აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენა ამერიკისა კოლუმბის მიერ“, „ფრიდოლინ“, შილლერისა, ნათარგმნი რაფის მიერ, ლონგფელის ნაწერი და ემმა ვიიმანის ნაწერი.

*** სოფ. ბოდბე: 14 იანვარს ჩვენს სოფელში იყო წმინდა ნინოს დღესასწაული. დღეობას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო მთელის სიღნაღის მაზრიდგან, მაგრამ იმ უწინდელს ამბებსკი ვერა ნახავდა კაცი: არც უწინდებურად თამაშობა და მხიარულობა ეტყობოდა ხალხს, არც უწინდებურად ქართულად წირვა-ლოცვა და გალობა გაისმოდა ტაძარში. ტაძარი თითქმის შიგნიდგანაც-კი შეიცვალა: უწინდელ ქართულ მხატვრობის მაგიერ სულ სხვა მხატვრობასა ვხედავთ. ყველას კარგად ეხსომება, რომ წმინდა ნინოს ტაძართან მამა გრიგოლ კარბელაშვილს სკოლა ჰქონდა გამართული დიაკენებისთვის და აქ ასწავლიდა მათ ქართულს გალობას. ახლა იმის მაგიერ არსებობს აქ ქალების სასწავლებელი, სადაც მოლოზნები ასწავლიან ქალებს რუსულად და ამზადებენ სამონოზნოდ.

*** 19 ამ თთვის, ღამის 11 საათზე, ოლგას ქუჩაზე ბარანოვსკის სახლის კარებთან იპოვეს მიგდებული შვიდის დღის ბაგშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს გრიბოედოვის ქუჩაზე ადამეკის წიგნთ-საკაზმველს ქარხანაში, მიმუშავემ კონსტანტინე ბარიშნიკოვმა მიიპარა 5 მანეთად ღირებული პიჯაკი. ქურდი პოლიციელმა შეიპყრო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ

(მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები)

მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები დანიშნული იყო ამ თთვის 16-სათვის. რადგანაც საარჩევნო სიაში ჩაწერილიყო 700-ზე მეტი კაცი და ამდენს ხალხს ქალაქის საბჭოს დარბაზი ვერ დიტევდა, ამიტომ კრება მესამე რიგის ამარჩეველთა გადატანილ იქმნა ეგრედ წოდებულს ხარაზოვის თეატრში. კრებაზედ გამოცხადდა ოთხასამდე კაცი და მრავალი დამსწრე. ბ-ნმა თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, რამდენიმე თანაშემწე დამინიშნეთ საკანდიდატო სიებისა და კენჭის საანგარიშებლადო; აგრეთვე დაეკითხა, თუ ვინ ნებავთ კანდიდატები აირჩიოთო: სიებით, თუ კომისიას აირჩევთ და მიანდობთ კანდიდატების დასახელებასაო? ჩემის ფიქრითო, სჯობს კომისია აირჩიოთ, რადგანაც სიებში მრავალი ისეთი კაცი იქნება დასახელებული, რომელნიც კენჭის ჩამოტარებას არ ისურვებენო; გარდა ამისა, სიების შემოწმება ბევრს დროს წაგვართმევესო. კრებამ მიიწონა ბ-ნ თავმჯდომარეს აზრი, ხოლო რამდენსმე წამს შემდეგ შეიქმნა ძახილი: ზოგი კომისიას თხოულობდა და ზოგიც სიებს. ამ საქმის გადასაწყვეტად თავმჯდომარემ ოთხის წუთით დაჰშალა კრება.

როცა კრება ხელ-მეორედ გაიმართა, უფროს-ერთმა ამამრჩეველმა არჩია სიებით დასახელება კანდიდატებისა. თავმჯდომარემ შეამჩნია, რომ რამდენიმე კაცი, რომელნიც საარჩევნო სიაში ჩაწერილნა არ იყვნენ და კენჭიც არა ჰქონდათ, უწესობას სჩადიოდნენ, ჰყვირდნენ და წესსა და რიგს არღვევდნენ. ერთი ამათგანი, რომელიც სხვებზე უფრო უწესოდ იქცეოდა, თავმჯდომარემ დაითხოვა კრებიდგან. თანაშემწეებად კრებამ დაუნიშნა თავმჯდომარეს ბ-ნნი: კ. ნ. ჩიკვაიძე, დ. ა. ნაზაროვი, ვ. ი. ჭილაძე, წევრი გამგეობისა, და დ. ვ. მიქიაშვილი, რომლებმაც შემოიწვეს საკანდიდატო სიები; აღმოჩნდა, რომ კრებას დაესახელებინა ორასამდე კანდიდატი, რომელთათვის კენჭი უნდა ჩამოტარებინათ; ამათგან სამოც-დაათმა კაცმა არ ისურვა კენჭის ჩამოტარება. ნაშუადღევის ხუთს საათზე კენჭის ჩამოტარებაც დაიწყეს. რადგანაც ყოველად მოუხერხებელი იყო ეგოდენის კანდიდატისათვის ერთბაშად ჩამოეტარებინათ კენჭი და შეუძლოც არ იყო იმდენს ყუთის მოპება, ამიტომ არჩიეს თითო გზობით ათ-ათ კაცისათვის ეყარათ კენჭი. ალფაბეტის კვალობაზე დაიდგა ათი ყუთი. ასისტენტები-თანაშემწენი ჩამომწკრივდნენ ყუთებთან და დაიწყო ამომრჩეველთა მოდენა. პირველს დღეს, ესე იგი, 16 ამ თთვისას, მხოლოდ პირველს ათს კაცს ჩამოუტარეს კენჭი. ამ ათის კაცის სიას ქვემოდ მოვიხსენებთ, ხოლო აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველსავე დღეს უსიამოვნობა მოხდა ასისტენტებს შორის, ბ-ნმა ნაზაროვმა შეჰნიშნა, რომ ბ-ნი კ. ნ. ჩიკვაიძე, როცა ამომრჩეველი მიდიოდა ყუთთან, კანდიდატის სახელსა და გვარს გარდა, ატყობინებდა ვინაობას კანდიდატისას, თუ ვინ რა მოხელეა, და თან აჩენდებდა, აქეთ თეთრიო და აქეთ შავეო. თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ ასისტენტმა მხოლოდ კანდიდატის გვარი და სახელი უნდა აუწყოს ამომრჩეველს და, თუ ვისმე უნდა შეიტყოს ვინაობა რომელისამე კანდიდატისა, შეუძლიან მე მომმართოსო. რამდენსმე ხანს კენჭის ჩამოტარება მშვიდობიანად მიდიოდა, ხოლო როცა ნაზაროვმა ხელ-მეორედ შეჰნიშნა, რომ ჩიკვაიძე ამომრჩეველთ კანდიდატობის ვინაობას აუწყებდა, ასისტენტობაზე უარი სთქვა; ჩიკვაიძემ რამდენიმე მკვახე სიტყვა გააყოლა თან და ნაზაროვიც გაჰშორდა საკანდიდატო ყუთებს. 17 ამ თთვისას ოცს კაცს ჩამოუტარეს კენჭი. მოგვყავს ამ ოც-და-ათის კაცის სია და ნუსხა იმისი, თუ ვის რამდენი თეთრი და შავი ჰხვდა წილად:

	თ.	შ.	ჯამი
აბდუშელიშვილი დავ. ნაგ.	277	78	355
აბულ ძე სიმონ ოსეს.	169	178	347
ავოფოფოვი გასილ სტეფ.	103	249	352
ბოკუჩავა ალექსანდრე დავ.	237	129	366
ბეგალოვი მიხეილ გიორ.	84	251	335
ბარკალაია იაკორ ნაგ.	135	205	340
ბაქრაძე კონსტანტინე დიმ.	181	169	350
ბადრაძე იესე ზასლის ძე	200	151	351
ბასტაშე დიმიტრი მახ.	157	193	350
ბოდეკაძე გიორგი ქაფ.	182	170	352
ენდრონიკოვი იესე გაბრ.	130	179	309
ბოკერია სამსონ გიორგ.	156	154	310
კოდოხ მეკერი	79	228	307
დოდობერიძე სიმონ ბეს.	158	150	318
გაფრანდაშვილი იესე დავ.	57	253	310
გაბრეკლიძე ისიდ. ბიჭ.	74	238	312
გაბაშვილი ისიდ. იაკორ.	128	177	305
გოგაკვა სპა	67	238	305
გაბრეკლიშვილი ნაგ. ივ.	124	180	304
გეკრანია პავლე ლუხარ.	110	224	334
ვასილიძე ნიკიფორე	154	168	322
დეასაძე ალექსა	152	176	328
ეზიკოვი ალოიზი	85	228	313
ვაკუხრეკი ივანე ოსიპოს ძე	222	99	321
ქეკლაბაქაძი მელიტონ	192	133	325
ვეხიანიძე გიორგი	163	152	315
ვასიანი სვიმონ	71	237	308
ქედაიშვილი სვიმონ	119	196	315
ქიქოძე მოსე ათანასეს ძე	208	110	318
ქორაქაშვილი ვასილ ლეკ.	141	168	309

ამ ორის დღის განმავლობაში ბევრი უწესოებაც აღმოჩნდა და ბევრიც მოუხერხებლობა თვით ამომრჩეველთა. ბ-ნი თავმჯდომარე თითო ამომრჩეველს ათს კენჭს აძლევდა თითოს თითო ყუთისათვის. ზოგმა ამომრჩეველმა არც-კი იცოდა, თუ როგორ ჩაეგდო ყუთში კენჭი, ალბად იმიტომ, რომ პირველად იყო მიწვეული არჩევანებზე. ზოგიც ერთს ყუთში ორს კენჭს აგდებდა: ერთს თეთრში და ერთსაც შავში. ამიტომ ამომრჩეველი, ხუთს ყუთს რომ ჩამოუვლიდა და კენჭი შემოაკლდებოდა, გულის ტკენით აცხადებდა: კენჭი არ მეყოო. ზოგს-კი, ვინც საკმაოდ განსწავლული ყოფილა კენჭობიაში, თავისს კანდიდატს რამდენსმე კენჭს აძლევდა თეთრში და დანარჩენს ყუთებს ისე ჩამოუვლიდა. ამიტომაც იყო, რომ ჯამი თეთრისა და შავის კენჭისა ერთს ჩამოტარებაზე ერთი და იგივე არ იყო. რამდენიმე კაცი დღეს იმასაც ჰმოწმობს, ვითომ ზოგს ამრჩეველს რამდენიმე კენჭი ხელში ჰქონდა მომზადებული და ამ რიგად თხუთმეტსა და ოცს აძლევდა თავიანთს კანდიდატებსაო. პირველს დღეს ჯამი თეთრისა და შავისა იცვლებოდა 366-დგან—335-მდე, მეორე დღეს—334-დგან 304-მდე და 328-დგან 308-მდე და ეს ამბავი ბევრს ეეჭვოვა.

18-ს ამ თთვისას, ნაშუადღევს, ბ-ნმა თავმჯდომარემ, როგორც უკვე გაუწყეთ დეპეშით, კრება დაითხოვა, იმიტომ-რომ კანონი და წესიერება დარღვეულ იქმნაო, თუმცა იმედი გვქონდაო, რომ ერთიცა და მეორეც დაცული იქმნებოდაო. კრებას ვითხოვ იმ დრომდე, სანამ მთავრობა შესაფერს განკარგულებას მოახდენსო.

ამ გვარი განცხადება თავმჯდომარისა ზოგს საამოდ დაურჩა და ზოგსაკი, ვინც თავიანთი კანდიდატი გაატარა ხმოსნად, თავს ზარი დასცა. ერთი ნაწილი საზოგადოებისა ხმამოუღებლივ დაიშალა, ხოლო მეორე იქვე დარჩა თეატრის დარბაზში. ასისტენტმა ბ-ნმა ჩიკვაიძემ ბ-ნ პოლიციის უფროსის თანადასწრებით, სიტყვით მიჰმართა ამათ და სთქვა: ქალაქის მოურავმა უკანონობა ჩაიდინაო, ალბად შეატყო, რომ მოურაობა ხელიდგან ეცლებაო, და სხვა და სხვ.

იმის მიზეზად, რომ ბ-ნმა თავმჯდომარემ კრება დაითხოვა, სხვათა შორის, იმას ასახელებენ, რაც ზემოდ კენჭის რაოდენობისა მოგახსენეთ, და აგრეთვე იმასაც, რომ ზოგი ასისტენტი ისე არ მოქმედობდა, როგორც წესი მოითხოვდა, და ამამრჩეველს, გარდა კანდიდატის სახელისა და გვარისა, მის ვინაობას უსახელებდა და იმასაც ატყობინებდა, ვინ რა მოხელე იყო.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ „დასთა“ ასეთს გამწვავებასა და ასეთს საარჩევნო ციებ-ცხელებას ქალაქი ჯერ არ მოსწრებია. ბ-ნს ასათიანს, ქალაქის მოურავს და კრების თავმჯდომარეს, ესოდენი ზომიერება და ბეჯითობა რომ არ გამოეჩინა, მეტად დიდი უწესოება და ურიგობა მოხდებოდა.

ა. ნა—ლი

ᲓᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘ

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ჭედა. (ქვემო აჭარა): დადგა იანვარი და თოვლის და ყინვის მაგიერად ისეთი წვიმები დაიწყო, რომ თითქმის არავინ მოსწრებია. მოხუცებულები ამბობენ, რომ იანვარში არას დროს არ გვახსოვს ასეთი განუწყვეტელი წვიმები ყოფილიყოსო. სწვიმს დღით და ღამით შეუწყვეტელად, ასე იფიქრებთ, ბათმანებით ასხამს ვინმე ციდან წყალსაო. წყლები ადიდდა და, უხიდობისგან გაჭირვებულებს, რაც გლახა ხიდები მოგვეპოვებოდა, იმაზედაც აგვღებინა ხელი. ამბობენ, თუ ამ ნაირმა თბილმა დარებმა გასტანა მთელი ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული ცუდი და უფოსავლო გვექნებაო. ყველას თავი დავანებოთ და საშინელმა ნოტიო და წვიმიანმა დარებმა გაგვიჩინა საძაგელი სენი, ინფლუენსია. ამ სენმა ისეთს შეწუხებაში ჩაგვაგდო, რომ დღე ივშვიათად გაიელის, კაცი არ დიმარხოს. წამალი ჩვენთვის ჯერ არ გაჩენილა და არც ექიმი დაბადებულა, მაგრამ ესეებიც რომ იყოს, საბრალო ფუხარა ხალხს მაინც ის დღე დაადგება, რაც დღეს ადგია. სადა გვაქვს ჩვენ ისისთანა სახლები და შეძლება, რომ თავს ისე მოვუაროთ, როგორც საკმაოდ ამ საშინელს უბედურებას და გავსინჯოთ, შესაძლოა თუ არა საგაისოდ მაინც ვისწავლოთ ქუა, გავიტანოთ ჩვენის ცხოვრების ურემი შარა-გზაზე და აღარა გვქონდეს შიში, რომ ნატარს ადგილზე გადაგვიბრუნდება.

**

ვანქის ხიდთან მეიდროდ არის დაკავშირებული მთელი საქმე და გრძელი ისტორია ეგრედ წოდებულის მადათოვის კუნძულისა, რომელთაც ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადავალებთ თვალსა. ჩვენი ტფილისი ვარანცოვის დროს სრულიად არ წარმოადგენდა განწყობილს ქალაქს. იგი მოკლებული იყო ჯეროვანს პატრონობას მოქალაქეთა მხრივ, არც ქუჩა უგვანდა ქუჩას, არც ხიდი—ხიდს, ქვა-ფენილისა ხსენებაც არსად იყო და სხვანი. ვარანცოვი შეუდგა ტფილისის მოწყობას და გამშვენებას. რადგანაც ხაზინას არა ჰქონდა თავისუფალი თანხა, რომლითაც შესაძლო ყოფილიყო გასწვდენოდა მთავარ-მართებელი ყოველს კერძოს ქალაქის გამოკეთებისას, მან საკეთილოდა სცნო დაეთმო მადათოვის კუნძულის უდიდესი მოედნები მდიდარ გვარეულობათათვის, რომელთაც შეუდგინა გეგმა და დაავალა შემოეზღუდათ ეს კუნძული გარს სქელის ქვითკირის კედლებით. ამასთანავე პირობა ჩამოართვა, რომ უკეთუ ხსენებულს კედლებს არ გააკეთებდნენ, კუნძული უნდა გადასულიყო ქალაქის საკუთრებად. კუნძულის ნაპირები თავსა და ბოლოს ქალაქს დარჩა. შეპირებული გვარეულობათ არ შემოავლეს კუნძულს კედლები, რადგან ნაჩუქარის მიწებით უიმისოდაც სარგებლობდნენ. დავა ამათ არავინ აუტეხა. ქალაქს სხვა მრავალი საქმე დაატყდა თავსა და იქამდე მიავიწყდა მადათოვის კუნძული, რომ თავისს საკუთარს ადგილებსაც აღარ უგდო ყური. ამ ადგილების სამხრეთს ნაწილს დაეპატრონა ვანქის ტაძარი, რომელმაც დღეს იგი სრულიად დაისაკუთრა 1863 წლიდგან.

აი თუ გნებავთ, საიდგან იწყება სათავე იმ უბედურებისა, რომელმაც ასე შეაძრწუნა და აატირა მთელი ტფილისი და მასთან მთელი ჩვენი ქვეყანა. ეს კუნძული რომ ქალაქისა ყოფილიყო, უეჭველია, იგი, შუაგულს ადგილას მდებარე, შეიქმნებოდა წყარად ქალაქის სიმდიდრისა, ზედ გაიმართებოდა ფას-დაუდებელი და სანთი მოედანი, შემოსავლის წყალობით გადიდებოდა აქეთ-იქიდგან ხიდები, და მადათოვის კუნძული გახდებოდა ერთს საუკეთესო ადგილად მთელს ტფილისში. თითქმის ესევე მოხდებოდა, რომ შეპირებულს კაცებს მაინც აღესრულებინათ ხელ-შეკრულობა, რომელიც მისცეს მთავარ-მართებელს. საუბედუროდ, არც ერთი მოხდა, არც მეორე და დღევანდლამდე ეს ქალაქის თვალი ადგილი ისეთს უბედურს ყოფაშია, რომ არც-კი შეეხედება ზედ. მხოლოდ ეხლა-ხან განიზრახეს თავადმა მუხრან-ბატონმა და ზოგიერთმა სხვა მოსაკუთრემ შესაფერის კედლების ამოშენება და ეხლაც წინ გადაეღობათ მომიჯნავეთა წვრილმანი ანგარიშები, რომელთა გამო ლამის კიდევ დიდ ხანს გადიდოს კუნძულის მოწყობისა ᲦᲐ გალაზათიანების საქმე. ეს გახლავთ მიზეზი ამ უბედურის კუნძულის დღევანდელ მდგომარეობისა და ამ მდგომარეობითაც აიხსნება ის ამბავი, რომ კუნძულს არა აქვს ხიდი არც ვანქისა და არც რიყისკენ, რადგან არ შეადგენს ჯერ-ჯერობით არავითარს საქიროებას. ხიდი უქირს მხოლოდ სომეხთა ეკკლესიის კონსისტორიას და ისიც წელიწადში რამდენსამე საათის განმავლობაში, წყალ-კურთხევის ცერემონიის გარდასახდელად. ძნელია მოსთხოვნან ეკკლესიას, რომელსაც არა აქვს გადასაყრელი ფული, რომ რამდენსამე საათის გულისთვის გადაეხიმოს მკვიდრი, სამოთხი ათას თუმნიანი ხიდი. ეგ-კი არა, იმასაც დიდი შეძლება უნდა, რომ ამ მცირე ხნისთვის სომეხთა კონსისტორია წელიწადში ჰხარჯავს სამოც თუმნობით ფულს.

**

ჩვენს აზრით, მომხდარმა ამბავმა უნდა დაგვაყენოს შემდეგს გზაზე: მადათოვის კუნძული სრულად აიღოს ქალაქმა, რისთვისაც იგი უნდა მოურიგდეს კერძო მფლობელთ, ხოლო უკეთუ ნება-ყოფლობით არ მოხერხდა ეს მორიგება, წარსდგეს მთავრობის წინაშე და სთხოვოს ეგრეთ წოდებული ძალდატანებითი შეძენა, ექსპროპრიაცია, ე. ი. შეისყიდოს იმ ფასად, რა ფასებსაც გადასწყვეტენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ამას დიდი ფული არ დასჭირდება, რადგან უძვირფასესი ნაწილი კუნძულისა, მირზოევისეული შენობანი და მამული, დაგირავებულია ბანკში, ბანკის ვალს იკისრებს, ქალაქი და გადაიხდის შემოსავლიდგან. ან არა-და, ქალაქმა იზამოს ყოველი ღონისძიება, რომ ჩქარა, განხორციელდეს გეგმა ვარანცოვისა. ამისთვის ხელი შეუწყოს მთავრ., ვინც არა ჰზოგავენ ხარჯს ᲦᲐ მკვიდრ. კედლების აშენებას შესდგომიან, ხოლო დაატანოს ძალა მათ, ვინც ამისთანა კედლების აგებას სულაც არა ჰფიქრობენ, რადგან უმისოდაც დიდი შემოსავალი აქვთ რაღაც ფიცრულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიროა. ექიმები ამბობენ, თბილს სახლში დაჯექით, თბილად ჩაიცვით და დაიხორეო, კარგი საჭმელები მირთვიო. სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე. ჩვენი სახლები მამა-პაპური არის, უიატაკო და უფანჯრებო, რომლის გათბობა შეუძლებელია. ტანისამოსი ერთი ხელი გვაქვს, მოკლე ჩოხა-შალვარი, ისიც ნახევრად გაცვეთილ-დაძონძვილი. ჩვენი ფეხ-საცმელი კიდევ მოკოპიტული ქალამანია, რასაკვირველია, ისიც ფსკერ-გაგლეჯილი, ასე რომ წყალს და ტალახს ადვილად შეუძლია ფეხებში იტყაპუნოს და გაგვიცივოს. ყველა ამ ნაკლებულობას ვუძლებდით და კიდევაც გავუძლებთ, რომ ეს ინფლუენცია არ გამოგვგზავნა ჩვენთვის ღმერთს. რას ვიზამთ, ისევ ღმერთს ვეხვეწებით, რომ აღრე მოგვაშოროს ეს შემაწუხებელი სენი.

—

გასრულ 1891 წლამდის ჩვენ ვიხდიდით ხაზინის სასარგებლოდ „აშარის ფულს“, მოსახლეზედ ორს მანეთს; რამდენიმე წელიწადია მივეჩვიეთ ამ ორ-ორ მანეთის ხდას და, რასაკვირველია, მოსამატი ჩვენ აზრში არ მოგვივიდოდა, კიდევაც გვეგონა, თუ მოგვიკლებდენ რამდენსამეს. გასრულს წელს უმთავრესმა მართებლობამ ეს ზემოხსენებული აშარი მიწის გარდასახადად შესცვალა და ამ ცვლილების გამო ხარჯი მოგვიმატეს, ვის ნახევარი მანეთი მოსახლეზედ და ვის ცოტა მეტი ადგილებისდა კვლად. რასაკვირველია, ყველა ერთის აზრისა არ იქნება. ზოგიერთმა ჩვენმა აღებმა, თავმა კაცებმა ხმა გაავრცელეს ფუხარა ხალხში, რომ ფულის მომატება უმაღლესი მთავრობის ნაბძანები-კი არ არის, არამედ სხვა-და-სხვა კერძო კაცების საქმეო, ხალხმა ამისთანა აღებს მიანდვეს საქმის მართლად გამოკვლევა და თანაც ხარჯის და პრაგონის ფულებიც გადიხადეს, მაგრამ საქმე არც გაკეთდებოდა და ვერც გაკეთეს. მიიწრიალ-მოიწრიალეს ბათომში, ტფილისში და სახლში დაბრუნდნენ. საქმე-კი საქმედ წავიდა. ხალხმა გარდაიხადა სახელმწიფო ფულიც და აღოდებულ ადუკანტების ხარჯი და პრაგონიც. ღმერთმა უწყოს, როდის მოვა ეს ჩვენი ყრუ ხალხი ჭკუა-ცნებაზედა

ალაჩუხებიდგან, სადაც ხე-ტყის ქარხნებია გამართული. აქ ძალაც მიუძღვის ქალაქი — ფიცარის ალაჩუხები შუაგულს ქალაქში აღკრძალულია. ამასთანავე შეუძლიან აღკრძალოს აქ თვით ხე-ტყის ზიდვაც, რადგან მიხეილის ხიდი უიმისოდაც გაუდიღია სხვა-და-სხვა ეტლით, ამ ალაგას მოძრაობა ისეც გაძნელებულია და ხე-ტყით დატვირთული „პოვოსკები“ საშინლად ავიწროებს ამ მოძრაობას. ამისთანა საშუალება აიძულებს ან თითონ ინაღვლონ მემამულეებმა და ამოიყვანონ შესაფერი კედლები, ან არა-და-შესაყოდონ თავიანთი მამულები მსურველთ. და თუ-კი მადათოვის კუნძული მიიღებს რიგიანს სახეს, უეჭველია, ზედ ბევრი ისეთი რამ გაიმართება, რომელიც მოითხოვს გაძლიერებულს მისვლა-მოსვლას, რისთვისაც საჭირო და ფრიად სასარგებლო იქმნება ხიდების გაკეთება.

თუ არც ერთი მოხერხდა და არც მეორე, მაშინ-ძალა უნებურად უნდა მიჰმართოს ქალაქმა მესამე მთავრობის კანონიერის მოთხოვნილებას დაუზარებლად შესასრულებს.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის საკეთილო ცვლილება, რომელიც დაეკვება გაზ. „Кавказъ“-ს პირველ ინვრიდგან. ისეთი ნომერი არ მოგვსვია, რომ შიგ რაიმე საყურადღებო საგანი არ იყოს განხილული ჩვენს ცხოვრების შესახებ. რასაკვირველია, უნაკლულო და შეუცდომელი არავინ არის. „Кавказъ“-ის მწერლებიც ექვემდებარიან ამ საყოველთაო კანონს. შეუცოდველი ის არის, ვისაც არა ენაღვლება-რა და არც-არას ჰკიდებს ხელს. სასურველი მოსაქმეობაა, ხოლო მისი აუცილებელი თანამგზავრი— შეცდომა თავისს დროზე ასე თუ ისე გასწორდება. „Кавказъ“-ის საქმიანობა აღარც სხვა გაზეთებს მოასვენებს. ერთურთის ხალისით, შეცდომათა ჩვენებით მოგებაში იქმნებიან თვით გაზეთებიც და მკითხველებიც. ვისურვებთ მხოლოდ, რომ ამ ძველის გაზეთის გამოუპაბუკება არ იყოს შედეგი ახალის ცოცხის თვალთმაქცობისა და სამუდამოდ ასეთი ხალისი შეჰრჩეს „Кавказъ“-ს. აი მეჩვიდმეტე ნომერშიც გაზეთი შეეხო ერთს ფრიად საყურადღებო საგანს ჩვენის ცხოვრებისას, ანდერძს განსვენებულ თავად დიმიტრი ჭავჭავაძისას, რომელმაც 1889 წელს დასტოვა 400,000 მანათი გამოსაზრდელად ჭავჭავაძეთა გვარის ყმაწვილებისა. როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ ანდერძის საქმე დღესაც, სამწუხაროდ, სასამართლოშია. ჭავჭავაძიანთ გვარეულობა სამართლიანად ამტკიცებს, რომ სარგებელი ამ ფულისა უნდა მოჰხმარდეს ჭავჭაძიანთ შვილების აღზრდას და ამიტომ თვითონვე უნდა განაგებდნენ საქმეს ამ ფულის მმარებისა და განაწილებისას, ხოლო ჩვენი სამოსწავლო მთავრობა ამტკიცებს, რომ მართვა ამ საქმისა უპრანნია მთავრობას აკუთვნოს სამართალმაო. „Кавказъ“-იც ასევე ჰფიქრობს და ამბობს:

ლონისძიებას—შეაერთოს კუნძული მტკვრის მარჯვენა მხრით ხმელეთთან, რისთვისაც საჭიროა სრულებით დაიკეტოს აგრეთ წოდებული პატარა მტკვარი, ე. ი. მარჯვენა ტოტი მდინარისა. ამისთვის საკმარისია ერთი სქელი კედელი სულ რაღაც სამის საჟენის სიმაღლისა, კუნძულის ჩრდილოეთ კუთხიდგან ცერად გაყვანილი „საპერნი ბატალიონის“ შენობათა კლდისაკენ. სიგრძე ამ კედლისა არ აღემატება 30 საჟენს. ამას დიდი ხანია იხვეწებიან სახლის პატრონები, რომელნიც სცხოვრობენ ვანქიდგან მოკიდებული საზაფხულო თეატრამდე, გარდა წისქვილის პატრონის პაპკოვისა. მაგრამ ამ წისქვილსაც ადვილად ეშველება—შესაძლოა დაზურულის არხით იქმნას წაღებული წყალი. ხარჯი იმაზე მეტი არ მოუვა ბ-ნს პაპკოვს, რაც ეხლა მოსდის წყლის დაგუბებისათვის.

ამ საშში ერთს გზას უეჭველად უნდა დაადგეს ჩვენი თვით-მმართველობა და წელსვე სისრულეში მოიყვანოს ერთ-ერთი მათგანი, თორემ სხვა ხსნა არ არის—მუდამ შიშში იქმნება მთელი ტფილისი ყოველს ექვსს იანვარს.

**

რაიცა შეეხება რკინის გზის საქმეს, უნდა ვიქმნაოთ სახეში, რომ იქ ურემი-კი არა, მთელი მატარებელიც გადაბრუნდა, იმოდენა მოხელე ხალხი სანთელივით დაიწვა ნავთში, და აქაც რომ სწორე გზა ვერ აღმოვაჩინოთ, დიდი და გასაშტერებელი უგუნურობა იქნება ჩვენი. სწორე გზას თითქმის კიდეც მიუხვდა გამგეობა ამ დაწესებულებისა. მეორე დღესვე გამოაცხადა გაზეთებში, რომ ორმოც-და-ათი კონდუქტორი უნდა მოემატოს იმ რიცხვს, რომელიც ეხლა მსახურობსო. მხოლოდ ერთი რამ ჯერ არ არის რიგიანად მიღებული მხედველობაში და თუ ეს ერთი რამ უყურადღებოდ დარჩა, ჩვენ კვლავაც ბევრჯელ ვიქნებით შეწუხებული და აღელვებული მოწმენი მრავალის უბედურებისა. ეს ერთი რამ გახლავთ სიფრთხილე მოხელე კაცების ამორჩევის დროს. არა რიანი იქნება ამ საქმის მართვა და გამგეობა.

ამ გვარი გარდაწყვეტილება მით უფრო სამართლიანია, რომ ქართველობაში ძლიერ იშვიათია ასეთი საქველ-მოქმედო შეწირულება და აქაც, ამ ერთს საქმეურს ნახტომშიაც რომ დაბრკოლება აღმოვუჩინოთ, დახმარების მაგიერ, სწორედ ნამეტანი იქნება. რაიცა შეეხება ამ ვითომ-დაბრკოლებას, რომ მთავრობას არ ეცოდინება, რომელი შეგირდი ჭავჭავაძეა სტიპენდიატი ამ ფულისა და რომელი არაო, ეს ადვილად ასაცილებელი საგანი გახლავთ—გვარეულობა სიხარტლით იკისრებს და ყოველთვის აცნობებს მთავრობას სტიპენდიატების სიას. ამ ერთიბეწო ქალალდის გულისათვის მაგეთი უნდობლობა მთელის გვარეულობის მიმართ არა გვგონია შესაწყნარებელი იყოს ვისგანმე და მეტადრე გაზეთისაგან.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთები ჯერ-ჯერობით კიდევ დეპუტატთა პალატაში 7 იანვარს მომხდარ ამბის შესახებ ჭლაპარაკობენ. საფრანგეთის გაზეთებმა ამ დღეს „სილების დღე“ უწოდეს და ეხლა ამ სახით საუბრობენ ასე თუ ისე ზემოხსენებულ ამბის შესახებ. უმეტესობა გაზეთებისა იმ აზრისაა, რომ ასეთი ამბავი დიდი ხანია მოსალოდნელი იყო და თუ აქამდე არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ-რომ შინაგან საქმეთა მინისტერი კონსტანი დიდი მომთმინო კაცი ყოფილაო. აგერ უკვე სამი წელიწადია, ზოგიერთი გაზეთი სდევნის ამ კაცს, ხან რა ბრალსა სდებენ და ხან—რას. მეასედი რომ მართალი იყოს ყოველ ამ ბრალისა, დიდი ხანია კონსტანი კატორგის ღირსი იქნებოდაო. ამ ოთხის კვირის წინად გაზ. „Intransigeant-მა, რომელიც ყოველთვის მეტად სდევნის კონსტანს, რადგან როშფორი მისი დიდის ხნის მტერია, კვლავ დაიწყო ბრძოლა კონსტანის“ წინააღმდეგ. გაზეთის რედაქციამ ტულუზში, კონსტანის სამშობლოში, თავისი ახალგაზდა თანამშრომელი გაგზავნა და იქ დაუწყეს კონსტანს საბიოგრაფიო ცნობებისა და ჭორების კრეფა. ამ საშუალებით რამდენიმე ცილის-წამებით სავსე წერილი შეადგინესო, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ოქროს დავთარი კონსტანისა და ქვეშ როშფორის სახელი ჰქონდა მოწერილი. მერე რა ბრალს არა სდებდა როშფორი კონსტანს: იმპერიის დროს ცუდის საქციელის გამო ვექალთა წოდებისაგან გამორიცხულ იქმნაო; საყოფაცხოვრო სახლი ჰქონდა გამართული; ვაჭრობას ხელი მიჰყო და, იმას გარდა, რომ გაჭქურდა თავისი ამხანაგი, კაცის-მკვლელებიც დაიქირავა და მოაკლევინო და სხ. როშფორს ბულლენელების სხვა გაზეთებიც ბანს აძლევდნენ და იმათ გარდა „Ganterne და „Autorite“-ც. ყოველმა ამან მაგდენად რომ არ გასჭრა, რადგან კონსტანი ყურადღების ღირსადაც არა სთვლიდა ამ უსამართლო და უმიზეზო კილვა-კიცხვას; ახლა სხვა გზას მიჰმართეს, უნდოდათ პალატაში აიტეხნათ მითქმა-მოთქმა და ლორმა ითავა ეს საქმეო. ჩვენის გაზეთის მკითხველებმა გუშინ-წინდელ უცხოეთიდგან უწყიან, რითიც დაგვიგვენდა დეპუტატის ლორის ცდა. კონსტანმა ლორს ორი სილა გაარტყა, აქეთ-იქიდგან წაეშველ-წამოეშველნენ და „სილების დღე“ გაჩაღეს. კონსტანის საქციელს ბევრმა თანაუგრძნო თურმე და მთელი მემარჯვენე დასი პალატისა, ისეთნი რესპუბლიკის მტერნიც-კი, როგორიც არის, სხვათა შორის, გრაფი დე-მენი, მიდიოდნენ, ხელს ართმევდნენ თურმე კონსტანს და ულოცავდნენ. ახირებული ის არისო, ამბობს ერთი გაზეთი,—რომ სილები უმთავრესად ბულანჟელებს მიერგოთ: ლორს გარდა, სილა სტეკლა კასტელენს დეპუტატმა დელპეშმა და პუდოს—ვამპსმა. ზოგიერთის გაზეთის რეპორტერები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამ „სილების დღეს“ ჩვენ სულ თოთხმეტის სილის ხმა გავიგონეთ და, მაშასადამე, დეელიც თოთხმეტი უნდა იყოსო.

ალბარი შევიგნოთ მხოლოდ ისა, რომ ყაირათიანობას თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს, თუმცა ეს შეგნებაც დიდი რამ არის. ჩვენს გზას შემოსავლიანობით უპირავს თითქმის ერთი უპირველეს ადგილთაგანი რუსეთის გზებში, შემდეგ ეკატერინბურგის ლინდგანია. მაშასადამე, ნამეტანი წოწორაქობა არ არის მაგდენად საჭირო, მით უმეტეს წოწორაქობა ნამდვილ მუშათა რიცხვის შესახებ. ამა, გზა რას გამოდგება, როდესაც ერთს მემაშინეს აწევს ორის სამუშაო, ერთს კონდუქტორს სამისა და ორს ტელეგრაფის მოხელეს ხუთის კაცის საქმე. ეს მოხელეობა ისეთი იაფია საზოგადოდ, რომ, თუ-კი გზას შემოსავალი აქვს, მოხელეთა რიცხვი ერთი-ორად უნდა აღემატებოდეს თვით საჭირო რაზმს, რომ გზაში დაცული იყოს ყოველი წესიერება. თუ მაინცა და მაინც ყაირათიანობა ეპიტნავება ვისმე, იყაირათონ იმისთანა მოხელეების შესახებ, რომელნიც თითქმის არას აკეთებენ და ჯამაგირებს-კი იმდენს იღებენ, რასაც ორმოც-და-ათი კონდუქტორი ერთად. ამით გზას არა დაიკლდება-რა, ნამდვილ მუშათა შემცირებამ-კი თითქმის ყოველ დღე რაიმე უბედურება მოუტანა ქვეყანასა და მილიონობით ზარალი თვით გზას: გადიწვა რამდენიმე სახელოსნო, ათი ათას თუმნად ღირებული, რამდენიმე ძვირფასი ორთქლ-მავალი, დაიმსხვრა ვაგონები, ცისტერნები და სხვ... ყაირათი-კი დაბალ მოხელეთა ჯამაგირებისა სულ ათასს თუმნის ძლივს დაიჭერს. ამას ვინ ჩასთვლის ყაირათობად!.. მაგრამ ყველაზე საფიქრებელი საქმე-კი, როგორც ზემოდა ვსთქვეთ, მოხელეთა ამორჩევაა, და ამ შემთხვევაში უეჭველი უპირატესობა უნდა მიეცეს ყვავსიის ხალხს, როგორც ფხიზელს და აღმასრულებელს თავის მოვალეობისას. საუბედუროდ, ეს ჯერ ყველას არა აქვს გაგებული.:.

სანი

15 იანვარს 1892 წ.

წარილი ამბავი

შტუტგარტში ამ ჟამად კოტტის ფირმა ბეგლდაუს ბანსმრის მიერ წარმოთქმული სიტყვებს ოდ-და-ხუთ ტომად.

— ლონდონის მთავარ-ეპისკოპოსმა ბრძანება გასცა, რომ მღვდლებმა საკანებში ლოცვები იკითხონ კვიდლიანში და შეკვდრან განკვეთის, რათა მან ნუგეში სცეს დედოფლის ოჯახობას და მოსწოს ინფლუენცა, რომელიც ამ ჟამად მძვინვარებს ინგლისში.

— ბოსტონში ერთის ახალის ქუჩისთვის რუბინშტეინის ქუჩა დაერქმეოთ სახელად. შესახმანაკა, რომ ბოსტონში ძლიერ ბევრს ქუჩასა ᲒᲒᲔᲜᲐ გამოჩენილ მუსიკეთა სახელები. მაგალითად, ბოსტონში არის ქუჩა ეგენერასა, შუმანისა, მენდელსონისა, გაიდნისა, ლისტისა, გოდდბრეგისა, შუბერტისა და სხვ. ეტ-ყობა, ბოსტონის ქალაქის გამგეობის წევრებს მუსიკა ძლიერ ᲒᲒᲔᲜᲐᲡᲗᲐᲮ.

— ბერძნული გაზეთი „ამალთეა“ ამბობს, ბოსორიდგან გეკუწყეს, რომ სოფელს ცემეორნი ერთი ქერეი სცხოვრობს, 50-55 წლისა, რომელსაც 26 ქმარი ᲒᲒᲧᲝᲚᲝᲓ და 26-